

## პროფესიული მომზადების პროგრამა

### ზოგადი ინფორმაცია

#### პროგრამა შექმნა უფლების მოპოვების გარეშე

<b>პროგრამის სახელწოდება:</b>	საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ორგანიზება
<b>პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:</b>	Organization of road freight transport
<b>პროგრამის სახე:</b>	პროფესიული მომზადება
<b>განხორციელების ენა:</b>	ქართული
<b>სფერო:</b>	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
<b>პარტნიორები:</b>	
<b>კვალიფიკაციის დონე:</b>	4 - პროფესიული მომზადება
<b>პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:</b>	10
<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:</b>	20
<b>მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში</b>	20
<b>მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში</b>	5

#### პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია მოდულების: „გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია“ - (სარეგისტრაციო ნომერი-0411312) „გადაზიდვების მომზადება“ (სარეგისტრაციო ნომერი-0411311) და „საავტომობილო გადაზიდვების“ (სარეგისტრაციო ნომერი-0411316) ბაზაზე, რომლის ათვისების შემდეგ პირს შეეძლება: აღწერა საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვის ტარიფების ძირითადი კომპონენტების სარკინიგზო ტრანსპორტზე „რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის“ მიხედვით; სწორად აღწერა საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვის ტარიფების ძირითად კომპონენტების

საავტომობილო ტრანსპორტზე; სწორად აღწერა საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვის ტარიფების ძირითად კომპონენტების საჰაერო ტრანსპორტზე; სწორად აღწერა საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვის ტარიფების ძირითადი კომპონენტების საზღვაო ტრანსპორტზე. მოცემული დავალების შესაბამისად სწორად ახდენს ადგილობრივ მიმოსვლაში გადასაზიდი ტვირთის სატარიფო განაკვეთების გაანგარიშებას; მოცემული დავალების შესაბამისად სწორად ახდენს საერთაშორისო მიმოსვლაში გადასაზიდი ტვირთის სატარიფო განაკვეთების გაანგარიშებას; ზუსტად განსაზღვრავს გადაზიდვის ტარიფს მოცემული დავალების შესაბამისად; მოცემული დავალების შესაბამისად სწორად განსაზღვრავს გადაზიდვის თვითღირებულებას ალტერნატიული მარშრუტების შესაბამისად; დადგენილი წესით სწორად ითვლის მოცდენის საზღაურს.

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ლოგისტიკის სფეროში საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ორგანიზებისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიან კადრის მომზადება, რომელსაც პროფესიული სპეციალიზაციის ფარგლებში შეეძლება საავტომობილო სატვირთო გადაზიდვებთან დაკავშირებული ხარჯების კალკულაცია, გადაზიდვის სპეციფიკის შესაბამისი ოპტიმალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების და გადაზიდვის მარშრუტის დაგეგმვა, გადაზიდვის პროცესის შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტების შევსება და მონიტორინგის განხორციელება.

### პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა: 1

<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება
<b>სასწავლო გარემო:</b>	A B

### თემატიკა

გადაზიდვის ტარიფის აღწერა:  
გადაზიდვის ტარიფი და მისი კომპონენტები;  
საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვის ტარიფების ძირითადი კომპონენტები

სარკინიგზო, საზღვაო, საავიაციო და საავტომობილო ტრანსპორტის მიხედვით; გადაზიდვის ღირებულების გამოთვლის წესები.

სასწავლო კვირა: 2

<b>კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება
<b>სასწავლო გარემო:</b>	A B

### თემატიკა

გადაზიდვის თვითღირებულების გამოთვლა  
თვითღირებულება;  
გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშების წესი და საბაზო განაკვეთები;  
გადაზიდვის სერვისის ტარიფის ძირითადი კომპონენტები;  
ტარიფის გაანგარიშება;  
სატარიფო პოლიტიკა (სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო, საზღვაო-სამდინარო, საერთაშორისო გადაზიდვებზე);  
ბენორმატიული მოცდენის ტარიფები;

სასწავლო კვირა: 3

<b>კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება
<b>სასწავლო გარემო:</b>	A B

### თემატიკა

ბენორმატიული მოცდენის ტარიფების განსაზღვრის წესი;  
ბენორმატიული მოცდენის საზღაურის დაანგარიშება;  
გადაზიდვის ღირებულების გამოთვლის წესები;

სადგურის მომსახურების საფასურის გამოთვლა;  
 ადგილობრივ მიმოსვლაში გადასაზიდი ტვირთის სატარიფო განაკვეთების გაანგარიშება;  
 ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვების ტარიფების საბაზო განაკვეთების  
 გაცნობა;

**სასწავლო კვირა: 4**

<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	გამოკითხვა
<b>სასწავლო გარემო:</b>	A B

**თემატიკა**

საერთაშორისო გადაზიდვებში ტრანზიტად გადასაზიდი ტვირთის სატარიფო განაკვეთების გაანგარიშება;  
 განსაკუთრებულ პირობებში, ადგილობრივ მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (უგაბარიტო ტვირთები);  
 განსაკუთრებულ პირობებში, საერთაშორისო მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (უგაბარიტო ტვირთები);  
 განსაკუთრებულ პირობებში, ადგილობრივ მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (საშიში ტვირთები);  
 განსაკუთრებულ პირობებში, საერთაშორისო მიმოსვლაში ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო განაკვეთის გაანგარიშების წესის გაცნობა (საშიში ტვირთები).

**სასწავლო კვირა: 5**

<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მარშრუტის დაგეგმვა
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება

<b>სასწავლო გარემო:</b>	A B
<b>თემატიკა</b>	
<p>გადაზიდვის მარშრუტის დაგეგმვა:  ტრანსპორტირების ხერხებისა და ტრანსპორტირების სახის შერჩევის წესები;  სატრანსპორტო პროცესების კლასიფიკაცია;  მოდრავი შემადგენლობის მუშაობის ტექნიკური-საექსპლუატაციო მაჩვენებლები;  საგზაო ფაქტორის გავლენა სატრანსპორტო პროცესის ეფექტურობაზე.</p>	
<b>სასწავლო კვირა: 6</b>	
<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მარშრუტის დაგეგმვა
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება გამოკითხვა
<b>სასწავლო გარემო:</b>	A B
<b>თემატიკა</b>	
<p>ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალების შერჩევა:  ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალების შერჩევა მარშრუტის შესაბამისად;  სატრანსპორტო ფაქტორების გავლენა სატრანსპორტო პროცესების ეფექტურობაზე;  ტრანსპორტირების ხერხისა და ტრანსპორტის სახის შერჩევა;  საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების შესახებ ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმების ძირითადი დებულებები;</p>	
<b>სასწავლო კვირა: 7</b>	
<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება
<b>სასწავლო გარემო:</b>	A B

### თემატიკა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალსწინებული სატვირთო გადაზიდვის ხელშეკრულებათა ძირითადი მოთხოვნები;  
სატრანსპორტო საშუალების მიმართ წაყენებული მოთხოვნები;  
კონტეინერები;  
კონტეინერებით გადაზიდვის უპირატესობა;

სასწავლო კვირა: 8

<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება
<b>სასწავლო გარემო:</b>	A B

### თემატიკა

საავტომობილო გადაზიდვების დოკუმენტების აღწერა:  
ტვირთის თანმხლები დოკუმენტაცია: წარმოშობის სერტიფიკატი, ნებართვები, ლიცენზიები;  
სატრანსპორტო საშუალების თანმხლები დოკუმენტაცია საერთაშორისო გადაზიდვის დროს: გადაზიდვის ნებართვა, ფოტო სერტიფიკატი, ტექდათვალიერება, ტექპასპორტი;  
სატრანსპორტო საშუალების თანმხლებ დოკუმენტაცია შიდა გადაზიდვის დროს: შიდა სასაქონლო ზედღებულება;  
სპეციფიკური ტვირთის გადაზიდვის დოკუმენტები: ადრ სერტიფიკატი, სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სერტიფიკატი, სანიტარიული სერტიფიკატი.

სასწავლო კვირა: 9

<b>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:</b>	18
<b>სწავლის შედეგები:</b>	საავტომობილო გადაზიდვების დოკუმენტების აღწერა და მათი შევსება
<b>სწავლების მეთოდები:</b>	ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
<b>შეფასების მეთოდები:</b>	პრაქტიკული დავალება გამოკითხვა
<b>სასწავლო გარემო:</b>	A

B

**თემატიკა**

საავტომობილო გადაზიდვების დოკუმენტების შევსება:  
საერთაშორისო სატრანსპორტო ბედდებულის CMR-ის, TIR წიგნაკის შევსება;  
შიდა გადაზიდვის ბედდებულის შევსება;

CMR კონვენცია, ტირ კონვენცია;  
პორტალი RS.GE

სასწავლო კვირა: 10

კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:

13

სწავლის შედეგები:

საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მონიტორინგი

სწავლების მეთოდები:

ლექცია  
პრაქტიკული მეცადინეობა

შეფასების მეთოდები:

გამოკითხვა  
პრაქტიკული დავალება

სასწავლო გარემო:

A  
B**თემატიკა**

საავტომობილო გადაზიდვების მონიტორინგი:  
საავტომობილო ტრანსპორტის დაცლა-დატვირთვის წესები;  
ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობის მოძიების თანამედროვე ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები: ჰიპიეს ნავიგაცია, ინტერნეტრესურსები (TRACKING);  
ადგილმდებარეობის დადგენისათვის საჭირო თანამედროვე საშუალებები.  
ტვირთის შეფერხების შემთხვევაში საჭირო პროცედურები: შეფერხების მიზეზის დადგენა, მისი აღმოფხვრის გზები;  
დასვენების და მოძრაობის ნორმების დაცვით მძღოლის კონტროლი: დასვენების და მოძრაობის რეჟიმები, ტაქოგრაფი, მისი მუშაობის პრინციპი და დანიშნულება;  
შრომის უსაფრთხოების ნორმები

**დაშვების წინაპირობები**

განათლება :საშუალო

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

# 1. გასაუბრება

## სწავლის შედეგები

### სხვა სწავლის შედეგები

- საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია
- საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მარშრუტის დაგეგმვა
- ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა
- საავტომობილო გადაზიდვების დოკუმენტების აღწერა და მათი შევსება
- საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მონიტორინგი

### დასაქმების სფერო/სფეროები

## პროგრამის შემუშავების საფუძვლები

### სხვა

### შემუშავების საფუძვლები

## ლოკაცია და აღჭურვილობები

### ლოკაცია:

რეგიონი	რაიონი	მისამართი
იმერეთი	ქუთაისი	ი.ჭავჭავაძის №21
აღჭურვილობები		
ტიპი	ზომის ერთეული	რაოდენობა
პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	კომპლექტი	1
დაფა	ცალი	1
პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება	ცალი	1
პრინტერი (კომბაინი)	ცალი	1
პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	კომპლექტი	1



კომპიუტერი	კომპლექტი	1
------------	-----------	---